ა(ა)იპ საქართველოს
საპატრიარქოს წმინდა ილია
მართლის სახელობის
თბილისის სკოლა
საქართველოს რესპუბლიკა
თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას 51
ტელ: 2 158 112
ელ-ფოსტა: ilia_martali@yahoo.com

N(N)LE Tbilisi Saint Ilia the
Righteous School of Georgian
Patriarchate
REPUBLIC OF GEORG
TBILISI 0186
VADJA-PSHAVELA AVENUE 51
TEL: 2 158 112
E-mail: ilia_martali@ yahoo.com

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის
დირექტორის
ბრძანება მ/N70

ქ.თბილისი 20 მარტი; 2023 წელი

სკოლის მიმართ არსებული ფინანსური დავალიანების მქონე მშობლებისთვის
ინფორმაციის მიწოდების შესახებ

სკოლის მომავალი წლის ბიუჯეტის გაანგარიშებისა და ოპტიმიზაციის მიზნით

ვბრძანებ:

1. მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33/2 მუხლის თანახმად კერძო სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

2. სკოლის მიმართ ფინანსური დავალიანების მქონე მშობლებს მათი შვილების სკოლაში დარჩენის სურვილის შემთხვევაში ეძლევათ წინადადება, სკოლის მიმართ არსებული დავალიანება დაფარონ 2023 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

3. წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში, 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით შეუძლიათ შვილები გადაიყვანონ სხვა სკოლაში; წინააღმდეგ შემთხვევაში 2023 წლის 1 ივლისიდან მათ შვილებს შეუწყდებათ მოსწავლის სტატუსი, ინფორმაცია გადაეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და უკვე ამის შემდეგ მოუწევთ ახალი სკოლის ძიება.

4. აღნიშნული ბრძანების მოსწავლეთა მშობლებისთვის მიწოდება დაევალოთ კლასის მზრუნველებს.

5. აღნიშნული ბრძანების სკოლის ვებგვერდზე (iliamartali.com) განთავსება დაევალოს ვებგვერდის კურატორს ნატო გოგოლაშვილს.